საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის სამ სექტემბერს

მე, ნოტარიუს ნინო გახოკიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. №11/23-ში, მომმართა: **ნანა ხორნაულმა,** რომელმაც განაცხადა რომ სურს ხელმოწერის დამოწმება **თანხმობაზე.**

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა:

ნანა ხორნაულმა, დაბ. 25.06.1964წ. რეგისტრირებული და მცხ. თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 11 ბ. 31. პირადი № 01006005466

აღნიშნული მომენტისათვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე ნოტარიუსმა ნინო გახოკიძემ შევადგინე წინამდებარე თანხმობა ტექნიკური საშუალების გამოყენებით **ხელმომწერი პირის კარნახით და სურვილით.** მე განუმარტე ხელმომწერ პირს თანხმობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას,

მე, ნოტარიუსი, ამ თანხმობის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ თანხმობაში **მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე.**

ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი + ორი ლარი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ (29 დეკემბერი, 2011 წ., დადგენილება №507) 31-ე და 39-ე მუხლებისა.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ნანა ხორნაული, 25.06.1964წ. პირადი № 01006005466, როგორც შპს “ბადე”-ს (ს/კ 401995436) დირექტორი, თანახმა ვარ საზოგადოების სახელზე არსებული შძრავი ქონების - მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა, №30, (ს/კ 01.13.05.009.021) ფასადზე განათავსოს სარეკლამო აბრა, აღნიშნულ შძრავ ქონებაში დროებით განთავსებულმა შპს “ფიტ”-ის (ს/კ 405042378) დირექტორმა – მოუსა სალეჰ ბალი ბეშაიმ (ეგვიპტის მოქალაქის პასპორტი A03048177), რაზედაც ვაწერ ხელს.

ნანა ხორნაული _____ ნანა ხორნაული

ნოტარიუსი /ნინო გახოკიძე/



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140937035
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.09.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო გახოკიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ათონელის ქ. 11/23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	98 21 98
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	77302073945614

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18